



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 90

01/12/2017

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის დ.დ) ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ)“ ქვეპუნქტის, მე-6 ნაწილის შესაბამისად და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 ნოემბრის N45/8217-ე წერილის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს მასზედ, რომ მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული, სოფელ ზედა საზანოში მდებარე 1300.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N33.18.45.310), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 30 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადასცეს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობის მიზნით.

მუხლი 2. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო